ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 463 ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 463

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—16 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებებისა მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაკალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა შეუწყდებათ ყველას, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

ვასო აბაშიძის ბენეფისი

ხუთშაბათს, 1 დეკემბერს,

ვასო აბაშიძის საბენეფისოდ და ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

1) **უდანაშაულოდ დასჯილნი,**

კომედია 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა.

2) ახალი ორიგინალური პიესა **კრიტიკოთან,** ვოდევ. 1 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი. ✦ დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილ. ფასი საბენეფისოა,

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება: ლევანი სამეგრელოს მთავარი, მეფე ლირი, ჰენრი ნავარიელი, სირანოდე, ბერჟერაკ, ანტიგონა, იულიოს კეისარი.

რეჟის. ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. (3.960.2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

ხუთშაბათს, 1 დეკემბერს

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება მეორედ ახალი **„მორევში"** ორიგინალური პიესა.

დრ. 3 მოქ. ს. ქანტურიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გარეკასელი, ევ. წუწუნავა, ბ-ნნი ბ. გამყრელიძე, ა. მეტრეველი, ჭიაურელი, ჭანკვეტაძე და სხვანი.

✦ ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაცია. ✦ დასაწყისი საღ. 8 ს.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა გაიმართება 5 დეკემბერს.

რეჟისორი: ალ. წუწუნავა. ადმინისტრატორი: ა. ქიაბერაშვილი.

(2—1590—2) მორიგი წევრი გამგეობისა ხერ. თაბუკაშვილი.

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, 1911 წ.

სინემატოგრაფი

ს. თ. ივანიცკისასა. დასაწყისი საღამოს 8½ ს.

სინემატოგრაფის შემდეგ

ი ა ფ ი ლ ო ტ ო.

ლოტო დაიწყება საღამოს 9½ ს. (1—1608—1)

ახალ წიგნების ბიბლიოთეკა

ტფილისში პირველი

სასახლის ქ., სახლი ქართველ თავად-აზნაურთა. მოიპოვება სულ ახალი წიგნები მეცნიერების და ლიტერატურის ყოველ დარგიდან. აბონიმენტები თვიურად და ერთჯერობითი. წიგნისა ან ჟურნალის გირაო 1 მან. ბიბლიოთეკა ღიაა დღის 12—3 საათ. და საღამოს 5—8 საათ. კვირა-უქმეში დღის 12—3 საათ. (3—1605—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—185)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—36)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი **ჟურბიცკაია-ფირალოვისა** დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ს. ნერვ. და ელექ., ხუთშ., 10½—11 ს.

ქუთათელაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაჭაბელიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავშ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.

მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.

წულუკიშვილი ნ. მ. ქირურ. და დაკაკ. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორმოცოვსკაია ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფარსადანოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოშხელაშვილი ა. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სუმბათოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თოკანაძე ა. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა [illegible]. (ტ.—1089—620)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—[illegible] ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილის ქ. N [illegible] სახლი გაბაშვილისა.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 (15.299 26)

ვაშლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაშლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გამხარაშვილი—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ს. ნ. ლომსაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. მამაცაშვილი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. წულუკიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა, ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით. (წ.—1090—224)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა ავადმყოფებს, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—54)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს **ექიმი ვ. ლოლობერიძე** ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფატიდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—10)

ექიმი ზ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (სხვებ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 332. 25—1442—34

ექიმი ვ. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1367. (100—1117—50)

ექიმი ნ. ტ. მუღინი ყელის, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 3. (თ.—1545—36)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის მეხან. N 5.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო **მიხეილ გედევანიშვილისა** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—67)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

ექიმი მ. ზაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 17 ([illegible]—46)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

ვიღებ საეკლესიო სამხატვრო საქმეებს. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სოფ. პროუტში, მანგლისის გზა. ტფილისის მაზრა, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გაზეთი „რეჩი" ეხება რუსეთის მეორე ულტიმატუმს სპარსეთის მიმართ და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ უკანასკნელი ნაბიჯით სურდათ რუსეთის პრესტიჟის აღდგენა, ნამდვილად კი ეს ისტორია მხოლოდ კომიკურ შთაბეჭდილებას სტოვებსო. გაზეთი ეხება რა იმ სისწრაფეს, რომლითაც რუსეთმა სპარსეთს მეორე ულტიმატუმი წარუდგინა, შემდეგს სწერს:

„მთელი ქვეყნის დიპლომატიურ დამოკიდებულებათა ისტორიაში შეუძლებელია მოინახოს მსგავსი მაგალითი... მეორე ულტიმატუმი მწარედ მოხვდა არა მარტო სპარსეთს, არამედ საგრძნობლად შეეხო ინგლისსაც, რომელიც თვით ერიდებოდა ყოველივე მას, რაც რუსეთის თვითმოყვარეობას სპარსეთის საქმეებში შელახავდა... საკვირველი არ არის, თუ სპარსეთის უძლურმა მთავრობამაც კი უარჰყო ულტიმატუმი. მართლაც, თუ ულტიმატუმები ერთი მეორეს მოჰყვებიან, ისე როგორც ტყვიები ავტომატიური თოფიდან, სად არის გარანტია, რომ მეორე ულტიმატუმს თან არ მოჰყვება მესამე, მესამეს მეოთხე, მეოთხეს მეხუთე, და სხვა?"

გაზეთის აზრით, რუსეთის ულტიმატუმი ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს თვისი მეორე ულტიმატუმით იგი პირდაპირ საბაბს ეძებდა სამხედრო ოკუპაციისათვის და იმდრომდე არ დაწყნარდებოდა, ვიდრე მას არ იპოვიდა.

როგორც სჩანს, ასეთი დასკვნაც გამოიტანეს თეირანში; იქ გადასწყვიტეს: არ ღირს ამ ისტორიის გაჭიანურება, მივცეთ დროით რუსებს მისთვის საპირო საბაბი და ჩვენი თავიც გავინთავისუფლოთ უსაფუძვლო თავის დამცირებათაგან, რომელიც, სულ ერთია, ვერას გვიშველისო.

როგორც მკითხველებმა იციან რუსეთის მეორე ულტიმატუმს უმთავრეს მოთხოვნას შუსტერ-მორგანის სამსახურიდან დათხოვნა შეადგენს. „რეჩის" აზრით ეს მოთხოვნა სპობს ყოველნაირ ფიქრს სპარსეთის დამოუკიდებლობისას, ვინაიდან მას მხოლოდ მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუ რუსეთი და ინგლისი ფინანსიურ დახმარებას გაუწევდნენ სპარსეთს, რაც მას ეგრე ძლიერ ესაჭიროება. რუსეთი და ინგლისი კი სპარსეთს ფულს არ აძლევს და იმას კი თხოულობს, რომ სხვა სახელმწიფოებში ნასესხებ ფულს პატრონობა რუსეთისა და ინგლისის მიერ მოწონებულმა მოხელეებმა გაუწიონო. გაზეთ „რეჩ"-ს ასეთი მოთხოვნა უკანონობად მიაჩნია.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

დეპეშები

28 ნოემბერი

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

განაგრძობენ პოლონეთის სამეფოს გუბერნიათა ქალაქების მმართველობის შეცვლის კანონ-პროექტის განხილვას. კამათი გამოიწვია მე-8 მუხლმა, რაც მოითხოვს ყოველნაირ საქალაქო საქმის რუსულ ენით წარმოებას. შინაურ საქმეებში შეუძლიათ პოლონურიც იხმარონ. ქალაქის თვითმმართველობათა დადგენილებანი, როცა კანონი მოითხოვს, რუსულად უნდა იწერებოდეს.

ბულატს შესწორება შეაქვს და შინაურ საქმეებში ყველგან პოლონურის გამეფებას მოითხოვს, ხოლო სუვალკის გუბერნიაში კი, სადაც ლიტველნი სჭარბობენ, ლიტვური ენა უნდა იხმარებოდესო.

ალექსეევი რუსული ენის უფლების კარგად განსაზღვრას მოითხოვს, მარტო პოლონელებს ვერ მივენდობითო. ისინი განზრახ არა ლაპარაკობენ რუსულად. მოლაპარაკე მოითხოვს, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომებზე წევრნი მხოლოდ რუსულად უნდა ალაპარაკოსო.

ადგილობრივ მეურნეობის მთავარ მმართველობის უფროსის თანაშემწე მე 8 მუხლის მიღებას მთავრობის რედაქციით ურჩევს და ალექსეევის შესწორებას ემხრობა. შემდეგ ბულატს უმტკიცებს, ნახსენებ ადგილებში ლიტველნი სხვებს არა სჭარბობენო.

სტარიცკი პროტესტს აცხადებს მერვე მუხლის წინააღმდეგ, ვინც ქალაქის საქმეებში მონაწილეობას იღებს, ყველამ კარგად იცის რუსული და თვითმმართველობაში პირველობა უეჭველად რუსულს უნდა დაეთმოსო.

გრაბსკი. ეს არის მინიმუმი, რომლითაც პოლონელთა მიმართ ცოტაოდენი პატივცემა კიდევ გამოიჩინესო. რაც შეეხება ბულატის წინადადებას, იგი პოლონურს ენას ჰზღუდავს, ლატვურს კი უფლებას ვერ აძლევსო. მოლაპარაკე მოითხოვს, სადაც ლიტველნი სჭარბობენ, იქ პოლონური და ლიტვინური თანაბრად იხმარებოდესო.

იჩასი. ლიტველთა გაპოლონება ძალიან სამწუხარო იქნება და ამიტომ ბულატის წინადადება უნდა მივიღოთ.

ბულატი ყველას უპასუხებს. თუ პოლონეთში ადგილობრივ ენათა უფლებას აღიარებთ, ლიტვურმა რაღა დააშავაო.

სოლტუზი კომისიის რედაქციის მომხრეა.

შჩეპკინი ისეთს შესწორების შეტანას მოითხოვს, რაც საერთო მოქმედების დროს სხვა და სხვა ეროვნებათა წინააღმდეგობას შეასუსტებს და შეარიგებს.

მომხსენებელი სინადინო ბულატისა და ბობიანსკის წინადადების წინააღმდეგია, ალექსეევის შესწორებას კი ემხრობა.

მერვე მუხლი ალექსეევის შესწორებით მიიღეს.

მეცხრე მუხლი ქალაქის თვითმმართველობის მოქმედების თვალყურის დევნებას ეხება. ეს საქმე შინაგან საქმეთა მინისტრს აწევს კისრად.

შინგარიოვი იცავს კადეტების შესწორებას, რითაც მინისტრს უფლება ეძლევა მხოლოდ თვითმართველობის მოქმედების კანონიერებას ადევნოს თვალ-ყური. მინისტრისა და თვითმართველობის ურთიერთობა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის შემწეობით უნდა სწარმოებდესო.

ადგილობრივ საქალაქო მეურნეობის ნაწილის მთავარ გამგეობის უფროსი. საწინააღმდეგო არა გვექნებოდა რა ამ შესწორებისა, ბუნდოვანი რომ არ იყვეს. შესწორების მეორე ნაწილი კი უკვე მოგვარებულ საქმეს ეხება—ეს კანონით უკვე განსაზღვრულია. მუხლი კადეტების შესწორების პირველ ნახევრის შეტანით მიიღეს. მიიღეს აგრეთვე რამდენიმე მუხლი შეუსწორებლივ. კამათი გამოიწვია მესამე თავმა. იგი შეეხება ქალაქის სამმართველოს შემადგენლობას, მოქმედების ფარგალს და წესრიგს.

გრაფი უვაროვი მოითხოვს ოც და მეორე მუხლის იმნაირად შეცვლას, რომ ქალაქებს მეტი უფლება მიენიჭოთ და გარდა ცენზიანებისა ბინის დამქირავებელთაც მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

შჩეპკინი კადეტების შესწორებას იცავს, რაც მოითხოვს საარჩევნო უფლებას ყველასთვის ვისაც ერთი წელიწადი უცხოვრია ქალაქში და 25 წლისაა.

ადგილობრივ მეურნეობის მთავარ გამგეობის უფროსის თანაშემწე. ქალთა საკითხის წამოყენება ნაადრევია, ვინაიდან ჯერ შიდა რუსეთშიაც კი არ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი. მოლაპარაკე მთავრობის პროექტის ტექსტის აღდგენას მოითხოვს.

მასლენიკოვი პროგრესისტების სახელით ქალების უფლებრივ გათანასწორებას მოითხოვს.

ბულატს შეაქვს შრომის ჯგუფელთა წინადადება, რითაც ისინი მოითხოვენ საარჩევნო უფლებას ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის, თუ კი მათ არჩევნებამდე ქალაქში ერთ წელიწადს მაინც უცხოვრიათ.

ბობიანსკი საჭიროა ქალებს პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება მიეანიჭოთ.

ბერეზოვსკი მეორე მოითხოვს, ებრაელების ხმოსნები მთავრობამ დანიშნოს ხოლმე.

ტიმოშკინი ბერეზოვსკის ემხრობა. ოც და მეორე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს, ბერეზოვსკის წინადადება უარჰყვეს.

გრაფი უვაროვს ოც და მეექვსე მუხლის განხილვის დროს პროგრესისტების წინადადება შეაქვს, სამღვდელო პირთ (ქრისტიანებს) საარჩევნო უფლება მივცეთო.

მამა გეპეცკი ემხრობა წინადადებას.

მასლენიკოვი აღნიშნავს, სამღვდელოებას პარტიათა ბრძოლაში ჩარევა არ შეშფერითო.

ბულატი. მომხრეა სამღვდელოებისთვის საარჩევნო უფლების მიცემისა.

მუხლი მიიღეს უკანასკნელ შესწორებით.

მიიღეს აგრეთვე ოც-და-მეშვიდე მუხლი ოქტომბრისტებისა და კადეტების შესწორებით. იგი შეეხება საარჩევნო უფლების არ მქონეთ: უფლება წაერთმევა ყველას, ვინც რაიმე საქმისათვის სამართალშია მიცემული. ასეთი მდგომარეობა გამოძიების დაწყების დროს შემდეგვე კი არ იწყება, არამედ შემდეგ.

ოც და მერვე მუხლი კურიებში ხმოსანთა განაწილებასა და არჩევანის წეს-რიგს ეხება. ამომრჩევლები სამ ჯგუფად იყოფიან: პირველს რუსნი შეადგენენ, მეორეს—ებრაელნი, მესამეს—დანარჩენნი. სადაც ებრაელები ქალაქთა მცხოვრებთა ნახევარზე მეტია ხმოსანთა საერთო რიცხვის მეხუთედს ირჩევენ, სხვაგან კი—მეათედს.

კურიის სისტემის წინააღმდეგნი არიან **ლუჩიცკი** და **მასლენიკოვი**, არჩევნების პროპორციონალობას ემხრობა **ბენეკე**, **ფრიდმანი**, **ბულატი**, **ბელოუსოვი**, **კუზნეცოვი**, **ნისელოვიჩი**.

შჩეპკინი. კურიის სისტემა ერთა

წინააღმდეგობასა და შუღლს გამოიწვევს. მოლაპარაკე პროპორციონალურ პრინციპის აღიარებას მოითხოვს. მაკვირვებსო,—ამბობს მოლაპარაკე,—პოლონელთა კოლოს საქციელი. ისე დაუჩლუნგა ხანგრძლივმა დაჩაგრულებამ პოლონელებს სამართლიანობისა და უფლების გრძნობა, რომ ისინი ებრაელთა უფლებას უარჰყოფენო.

ტიმოშკინი. ორი კურიის დაარსებას მოითხოვს: ერთს რუსთათვის, მეორეს დანარჩენ ერებისათვის.

გრიბსკი. შჩეპკინს უპასუხებს. თვითონაც კარგად ვიცით, როგორ დავიცვათ სწორუფლებიანობის პრინციპი და პასუხისმგებელნიც ჩვენა ვართო.

ეს მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

29 მუხლი ოქტომბრისტების შესწორებით მიიღეს. ისინი რუსობისაგან ჩამომავლობის საკითხის გადაწყვეტას ვარშავის გენერალ-გუბერნატორს მიანდობენ. მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება სენატის პირველ დეპარტამენტში შეიძლებაო.

მუხლი **30** და **31** კომისიის რედაქციით მიიღეს. **32**—კადეტების შესწორებით.

შემდეგი სხდომა საიდუმლო იქნება სამხედრო ბეგრის საკითხის თაობაზე და მოხდება ოთხშაბათს დილით.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ნამესტნიკმა ნება დართო ახალციხის ქალაქის რწმუნებულთ**, რომ მათ 10,000 მან. შეწირულება მოაგროვონ ახალციხის წყალსადენის საჭიროებისთვის. ნამესტნიკმა განმარტა, კანონით ქალაქის თვით-მმართველობებს ნება არა აქვთ ხელის მოწერით ფულის მოგროვებისაო.

◆ **კახეთის რკინის გზა.** როგორც საბოლოოდ გამოირკვა, კახეთის რკინის გზის გაყვანას ნაადდგომევს შეუდგებიან. ვარაუდით გზის გაყვანა 1914 წლის ზაფხულში დასრულდება და მატარებელთა წესიერი მიმოსვლაც დაიწყება. გზის უმთავრეს გამყვანი ინჟინერს რაციბორსკის სიტყვით, რკინის გზის ჩქარა გაყვანასა და საერთოდ მუშაობის წესიერ მსვლელობას დიდად ხელს შეუშლის ის ხევები, რომლებიც ტფილისიდან დაწყებული კახეთამდე მრავალ ადგილას მოიპოვება და რომლებიც გზამ უნდა გადასჭრას.

— როგორც ვწერდით, ტფილისის მახლობლად კახეთის რკინის გზის საქონლის სადგური უნდა აშენდეს ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის მიწაზე. ეს მიწა ქალაქის გამგეობამ 78,000 მან. შეაფასა. ამ ფულის გაღება კახეთის რკინის გზის გამგეობას შესაძლებლად უცვნია, რაიც ინჟ. რაციბორსკიმ ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს პირადად აცნობა. საკითხს საბოლოოდ ქალაქის საბჭო 5 დეკემბერს გამოარკვევს.

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტში** წარმომადგენლებად დაინიშნენ: სამოსწავლო უწყებიდან—ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი პ. ა. ფედოროვსკი, ფინანსთა სამინისტროდან—ტფ. მაზრის ხარჯის ამკრები ინსპექტორი თავ. ლორთქიფანიძე და სააქციზო სამმართველოს მოხელე პ. ი. გვერწითელი და მიწად-მოქმედებისა და მიწად-მომწყობის მთავარ სამმართველოდან—ალაზნის ვაზის სანერგის მებაღე ა. ა. კუპეევი და კონდოლისა—ე. გ. ვარაქევი.

◆ **ჟურნალი „მოსავალი".** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი"-ს დეკემბრის (23) ნომერი, რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია მ. ჯანაშვილისა და ვ. რცხილაძის წერილები.

◆ **ქსნის ხეობის ბოქაულად** თავ. გურამიშვილი დაინიშნა, ხოლო ქსნის—ბოქაული სარატინოვი სამსახურიდან სამუდამოდ დათხოვნილი იქმნა.

◆ **ცნობილს კაპიტანს ერმოლოვს**, რომელსაც ამას წინად სასამართლომ ოთხის წლით ბატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა ფულის გამფლანგველებთან კავშირისთვის, უმაღლესის ბრძანებით სამხედრო ფორმა აჰხადეს და სამხედრო ჰაუპტვახტიდან მეტეხის ციხეში გადაიყვანეს.

◆ **სალიტერატურო საღამო.** 6 დეკემბერს ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო ქართულს თეატრში სალიტერატურო საღამოს გამართავს. გ. ბ. გვაზავა სიტყვას იტყვის ტოლსტოის „ცოცხალ გვამი"-ს შესახებ, ქართველნი მწერალნი კი თავიანთ ნაწარმოებთ წაიკითხავენ.

◆ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიას** დღეს კრება ექმნება. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს იმ ჯარიმების შესახებ, რომელიც კომისიამ ტრამვაის დირექციას დაადო.

◆ **რედაქციამ მიიღო** კ. თავართქილაძის გამოცემული:

1) „ორი პიესა" („შეშლილნი" და „კრიტიკოსთან"—**ტრიფონ რამიშვილისა**, 64 გვერდიანი წიგნი, ღირებული ხუთ შაურად.

2) „**თამარიანი**", პოემა **ხვ. გუგუნავასი**, ღირებული ათ შაურად.

◆ ბაზრის უფროსმა შ. მათევოსიანცმა ბაზრის ქუჩაზე თავ. მუხრანსკის შენობაში ყასბებ ამბარცუმ ამზიევთან და ალექსანდრე ბაზიერაშვილთან ფარულად დაკლული ხბოები აღმოაჩინა. ხორცი ქალაქის სალახანაში გაგზავნეს და უვარგისი აღმოჩნდა. დამნაშავეთ სამართალში აძლევენ.

◆ 28 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე, ბაგრატიონის ქუჩაზე მიმავალს თომა გაგენიძეს ვიღაც უცნობი მიეპარა და ბარძაყში დანა ჩასცა. უცნობი მიიმალა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს სამკურნალოდ დახმარების აღმოსაჩენად.

◆ 28 ნოემბერს, ტფილისში 56 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის მოხუც და დაავადებულ სამხედრო პირთა დამხმარებელ საზოგადოების** კრება დღეს მოხდება „ტფ. კრუჟოკ"-ის სადგომში კრებამ 1912 წლის ხარჯთაღრიცხვა უნდა განიხილოს და მომავალ მოქმედების გეგმა უნდა შეიმუშაოს. კრება დილის 10 საათისთვის არის დანიშნული.

◆ **ქალაქის საბჭო.** 28 ნოემბრიდან მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას შეუდგა, სანამ ხარჯთ აღრიცხვის განხილვას შეუდგებოდა, საბჭომ გ. დ. ჟურულის მოხსენება მოისმინა, რომელიც ამავ ხარჯთაღრიცხვას შეეხება და საიდანაც სჩანს, რომ ქალაქის კასის მდგომარეობა უნუგეშოა. მომხსენებლის აზრით, ქალაქს ყოველ წლივ 400-500 ათასი მანეთი ზარალი მოელის, თუ შემოსავლის ახალი წყარო არ იქმნა აღმოჩენილი, ან ხარჯი არ იქმნა შემცირებული. ხმოსნებმა დიდხანს იმსჯელეს ქალაქის უძრავ ქონების შეფასების საკითხის გამო, რომელსაც ხარჯთაღრიცხვასთან მჭიდრო კავშირი აქვს. ამას წინად მოხდენილ შეფასების დასამთავრებლად კიდევ საჭირო ყოფილა 3,000 მან., რაც წინად ამ საქმეს დახარჯულ ფულთან ერთად 61,000 მან. შეადგენს. ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა აღძრა საკითხი, რომ ახლი შეფასების მიხედვით გადასახადების გაწერა მომავალ წლის პირველ ივლისიდან შეუდგეთ და არა პირველ იანვრიდანაო, როგორც წინად იყო განზრახული. ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა, ეს საკითხის საბოლოოდ მაშინ განიხილოს და გადასწყვიტოს, როდესაც ქალაქის ხარჯთაღრიცხვის განხილვას მთლად დაასრულებს. მომავალ კრებაზე საბჭო ხარჯთაღრიცხვის მუხლობრივ განხილვას შეუდგება.

სასამართლო.

◆ **ქალაქის სასამართლოს სესია,** რომელიც ზაქათალას იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

სომეხთა ცხოვრება

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას** ნება მიეცა, ზაქათალაში თავისი განყოფილება გახსნას.

მრევლის საარჩევნო უფლების გაუქმება.

გაზ. „კასპში" ვკითხულობთ: სამშაბათს სინოდის ობერ-პროკურორის ვ. კ. საბლერის თავმჯდომარეობით სხდომა მოხდა, რაზედაც საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ საქართველოს ეპარქიის მდგომარეობის თაობაზე მოხსენება წაიკითხა.

„გოლოს მოსკვი" გადმოგვცემს, მომხსენებელმა ბევრი ილაპარაკა ქართველთა მრევლის თაობაზე, რომელიც 1905 წელს შემოღებულ სამღვდლო პირთ არჩევნის უფლების შემდეგ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ეგზარხოსმა სთქვა, განსვენებული ნიკონი მართალი იყო, როცა არჩევნის უფლება შემოიღო, მაგრამ თანაც დასძინა: „დაე, აირჩიონ. თვითონვე დარწმუნდებიან, თუ როგორ შეუფერებელია ეს პრინციპი ქართველთათვის, ზნეობისა და გონებისა იმ მდგომარეობისათვის, რომელიც რევოლუციის ხანამ გამოიწვია".

ეგზარხოსი ციფრებით ამტკიცებდა, მღვდლებად საქართველოში ისეთნიც არიან, ვისაც სემინარიაშიაც კი არ უსწავლიაო. სოფლის ყრილობა ბევრჯერ სრულიად უცხო პირს ირჩევს: უმეტესობას მღვდლობა სრულიად არ შეეფერება. ბევრჯერ მომხდარა, მრევლს უთხოვნია, ისევ თქვენ დაგვინიშნეთ მღვდელიო. ისეთი შემთხვევაც იყო, როცა სოფლის ყრილობას მაჰმადიანი მამასახლისი თავმჯდომარეობდა. ყველა ამის შემდეგ, ეგზარხოსმა სინოდს საარჩევნო უფლების მოსპობა ჰთხოვა.

ერთის წევრის სიტყვით, მოხსენებას სინოდის წევრები ძალიან დაუღონებია. სინოდმა ერთხმად გადასწყვიტა საარჩევნო უფლების მოსპობა და ძველი წესის დაბრუნება, რის ძალითაც მღვდლებს ისევ ეპისკოპოსნი განაწესებენ. აქამდე არჩეულ მღვდლებს არ გადააყენებენ, მაგრამ ახლად განთავისუფლებულ ადგილებზე კი სამღვდლო პირს თვით დანიშნავენ.

ნიკო ბაქრაძე

(ნეკროლოგი).

სულ მოულოდნელად გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ნიკო ლუკას ძე ბაქრაძე, 47 წლის ჯან-ღონით სავსე კაცი.

მან გაათავა სასულიერო სემინარია და სამსახურში შევიდა განჯის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამართველოს კანცელარიაში, რის გამოც ახალგაზრდა ნიკო მეუღლითურთ გადასახლდა განჯაში. იქ დაჰყო 1905 წლამდე, მაგრამ ამ წელს თათარ-სომეხთა შეტაკების გამო იძულებული გახდა გადმოსახლებულიყო ტფილისს. განჯაში [illegible] ქართველობაში დიდი პატივისცემა [illegible] სახელი ჰქონდა დამსახურებული, როგორც მხურვალე და ენერგიულს მონაწილეს ყოველივე ქართულ საქმისა. თითონ პირადად, როგორც გულკეთილი და პირმისამართი ადამიანი, აგრეთვე მისი ოჯახიც მუდამ წარმოადგენდა იმ მიმზიდველ ძალას, რომელიც აერთებდა და ერთმანეთს უკავშირებდა სამშობლოს მოშორებულს მცირე ჯგუფს ქართველებისას. წარმოდგენები, საღამოები თუ სხვა საქველმოქმედო გართობა უნიკოოდ წარმოუდგენელი იყო. თითონაც ხომ მეუღლითურთ მონაწილეობას იღებდა, ხშირად მისივე ოჯახი იყო რეპეტიციების და სხვა მოსამზადებელ კრებების ადგილიც.. ამ მხრივ მისი გადმოსვლა განჯიდან დიდი დანაკლისი იყო განჯელ ქართველებისთვის.

როდესაც ადამიანს შრომის უნარი აქვს, როდესაც მას გული ერჩის თავის ხალხის საკეთილდღეოდ, მაშინ იგი სადაც უნდა იყოს ყველგან იშოვის საქმეს და შესაფერ სიკეთესაც დასთესს. მართლაც და გაჩინოვნიკებული ადამიანი მეტად ფხიზელი და გამჭრიახი გონების პატრონი უნდა იყოს, რომ არც საზოგადო ცხოვრებას ჩამორჩეს და შესაფერადაც ნაყოფიერად შრომობდეს თავის დარგში. თუ საზოგადოდ, და აი ნიკო ბაქრაძე არამც თუ საზოგადო ცხოვრებას არ ჩამორჩენია, ჩვენთვის საგრძნობელი სიკეთესაც სთესავდა.

განჯიდან იგი გადაყვანილ იქმნა სიღნაღში სახელმწიფო მიწების ზედამხედველად. იმის ხელში იყო შირაქი. რაც მან იქ სიკეთე დასთესა, მხოლოდ შეგვიძლიან გავიგოთ ალაგობრივ ნახვით და გამოკითხვით. მართლაც, როგორც სიღნაღში აგრეთვე და უმთავრესად სიღნაღის გარეთაც დაიმსახურა ჩინებული ადამიანის და ნამდვილი მამულიშვილის სახელი. მოსაქმე ნიკომ საქმიანობაშივე განუტევა მოსიყვარულე და სპეტაკი სული. დიდი დანაკლისია ჩვენისთანა მცირე ხალხისთვის ერთგული თანამოძმის დაკარგვა უდროოდ. საუკუნოთ იყოს შენი ხსოვნება, კარგო ადამიანო! **დ. ნ.**

მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

(„ცისკარი და საქართველოს მოამბე")

(1852—1863 წ.)

2.

1857 წელს „ცისკარი" უფრო მკვიდრ ნიადაგზე დგას, თუმცა მის წინაშე ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა დასაძლევი. ივანე კერესელიძე შრომას არ ჰზოგავს და ჰპატრონობს ქართულ სალიტერატურო ჟურნალს. პირველსავე ნომერში ვკითხულობთ:

„რედაქცია სალიტერატურო ჟურნალისა „ცისკარი" წარმკითხველთაგან მოითხოვს მოტევებასა, უკეთუ ჰპოვებენ რასმე ნაკლულევანებასა პირველს გამოცემულს წიგნში. რაც რამ შეძლება ჰქონდა რედაქციას, არ დაუზოგავს ტიპოგრაფიის გამართვისათვის. ლექსებში ნაცვლად ჳ ხმარებულია ვ, რადგანაც იმ ზომის ასო ვერ მოხერხდა ტიპოგრაფიაში, და არცა თავი ასოები არიან თავ-თავის ალაგს ნახმარნი ამავე მიზეზით, მაგრამ ეს კი უნდა განუცხადო საყვარელთა წარმკითხველთა, რომ რედაქცია დიდს ღონისძიებას მოიხმარებს, ამ ჟურნალის წარმატებისათვის".[1]

თავდაბლად და დაყვავებით ეპყრობა რედაქცია თავის მკითხველებს. მაგრამ მეცადინეობას არ ზოგავს. საკუთარ ტიპოგრაფიის მოწყობა უკვე დიდი საქმეა, თვითმოქმედების დასაწყისია. ახალი ჟურნალი მეტად მგრძნობიერია და ძალიან ეშინიან, ცუდი რამ არა სთქვან რა მის შესახებ. მას არ უყვარს კრიტიკა, რადგან ჯერ არ იცის არც იმისი ფასი, არც მისი მნიშვნელობა.

გაზეთ „კავკაზში" დაიბეჭდა ბერძენოვის წერილი, სადაც ავტორმა დამშვიდებულის კილოთი „ცისკრის" ავ-კარგიანობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. „ცისკარს" არ ესიამოვნა, აიმრიზა. მაგრამ პასუხი გაჰბედა და ვინმე ა. სავანელი „მკითხველთა დმი" სწერს წერილს, სადაც, სხვათა შორის, ამბობს:

„ვის არა ჰსურს გამოხატოს თავისი აზრი და გრძნობა სასიამოვნოდ, ცხადად და ენა-მჭევრობით? ვინ არა გრძნობს და არ იცის, რომ ყოველსა ამასა მოგვცემს ჩუენ ცისკარი",—ქართული სალიტერატურო ჟურნალი? რასაკვირველია სრულებით ესენი ამ პირველს შემთხვევაში არ შეგვიძლიან მას მოვთხოვოთ, შემდეგ ესრეთის დავიწყებისა ჩუენის ენისა ჩუენგან. მამულისა სიყვარული, ესე ბუნებითი ნიჭი ყოველ კაც-შორის და ზემოხსენებულნი წინადადებანი, ვალდებულ გვყოფენ ჩუენ ყოველთა მივიღოთ გულადი მონაწილეობა ამ სასარგებლო შრომაში და ვეცადოთ განგრძობისათვის ამ ჟურნალისა, და არ ვუგდოთ ყური რომელიმე კრიტიკოსთა, ამაოდ კალმით ალჭურვილთა, განსაკუთრებლად ჩუენის ახალ დადგენილ ჟურნალისა, რომელიც, ვიტყვი, არ უნდა იყოს ჯერედ საგნად კრიტიკისა და უმეტესად კრიტიკისა არა მართლისა".[2]

ჟურნალი მართალია, როდესაც „გულად შრომას" იხსენიებს—„ცისკრის" შრომა დიდი გულადობა იყო იმ ხანებში—მაგრამ მისი გულადობა ჯერ მაინც იმ ხასიათისა არ იყო, რომ კრიტიკის არ შეჰშინებოდა. თანდათან, როდესაც თვითონაც უფრო გაბედულად დაიწყებს ლაპარაკს, იგი შეეჩვევა კრიტიკასაც და თავისუფალ მსჯელობასაც, ხოლო ამისათვის საჭირო იყო დრო. მაგრამ „ცისკრის" შიში კრიტიკისა იმ მხრივ არის გასამართლებელი, რომ მან დაიწყო მოქმედება ნახევრად მკვდარ საზოგადოებაში, რომელსაც თითქმის უკვე დაეკარგოდა ეროვნული ფიზიონომია. აი რას ეუბნება რედაქცია ამის შესახებ თავის მკითხველებს:

„ზოგნი ერთნი ითხოვენ რედაქციისაგან იმ გვარს რასმეს, რომელიც ჯერ არ მოეთხოვება. რისთვის? მე ვიცი მკითხავთ, საყვარელნო მკითხველნო, რომელთათვისაც ყოველთვის მზათა ვარ რაც რამ შეეხება ჩუენს ენას. ჩემი გულწრფელობითი ეს თქმა იქნება მიაწეროთ თავის მოყვარეობას? არა. თავის მოყვარეობა ჩემი მდგომარეობს მასში, რომ მამული ჩემი, ჩემი ენა, რომლისათვისაც სისხლი უღვრიათ ჩუენთა განსვენებულთა წინაპართა, იყოს იმ მდგომარეობაში, როგორც შეშვენის ახლანდელს განათლებულს და ამასთან მშვიდობიან დროსა, რომელიც მოქცეულის წყალობად ჩუენის დიდის რუსეთის იმპერატორისაგან, მაგრამ როგორც ვხედავთ... მგონია ამაზედ ყოველნი თანახმანი გახდეთ, რომ ყოველის ხალხის მამულის აყვავებაში უფრო და ენის სიმდიდრის საფუძველი იყოს ჟურნალი. მაშასადამე, ვინც არის წინააღმდეგი ამა უკანასკნელისა, ესე იგი ჟურნალისა, ის არის მტერი მამულისა და თავის ენისა; რომელიც კაცი მტრობს თავის ენას, ის სრულებით... სჯობია სწორეთ ვაღიაროთ, ის როგორც იტყვიან უგრძნობელია და არ არის ღირსი ქართველად წოდებისა. ზოგნი ერთნი არიან წინააღმდეგნი ჩუენის ჟურნალისა, ეს კი არ იციან აქამომდენ, ამ მტრობას მე მომაწერენ, თავიანთს თავსა, თუ საზოგადოებასა? თუ მე მომაწერენ, ძალიანსა ცდებიან ის უფალნი, ამისათვის რომ, როგორცა სწერენ ერთ რუსულს გაზეთში, ჟურნალი არის ხმა საზოგადოებისა, თვით ის მტერიც ბოროტი კაცი მგონია ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებასა, მაშასადამე ის პატიოსანი კაცი მტრობს არა მე, არამედ თავის თავს. რომელი ქართველი იტყვის ამას: „ჯერაც არ მოგიყვანებიათ კარზე ეგ თქვენი რაღაც ჩიხიბიხოვო". მერე რომელი ქართველი? ის ქართველი, რომელიც თითქმის წარმომადგენელია კერძოობითის საზოგადოებისა, კარგს ხარისხზედაც იმყოფება და დიდი ხმაც აქვს. ის რომ ამას ამბობს, იმის მიხედვით, სხვანი რას მოგახსენებენ?"[3]

ციხე შიგნიდან ტყდებაო. ქართულ კულტურას მის აღორძინების ხანაშივე გაუჩნდნენ შინაური მტრები. ფრიად საყურადღებოა დასაწყისი ამ ბრძოლისა. ეს იყო პირდაპირი მოვალეობა ახალ ჟურნალისა და მან არ აიღო ხელი ამ მოვალეობაზე და იკისრა კიდევაც პასუხის მგებლობა. მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ივანე კერესელიძეს აკლდა საჭირო გამბედაობა. სანამ საკითხი ენის გარშემო ტრიალებს, იგი მხნედ არის, ხოლო წარმოსდგა თუ არა ჟურნალის წინაშე სურათი ჩვენი ცხოვრების სრულის უკულმართობისა, აქ მისი გაბედულება სცხრება. „ცისკარს" დიდი სამსახური გაუწია მისმა თანამშრომელმა მოლაყბემ. მოლაყბე იყო ფსევდონიმი თ-დ მიხეილ თუმანიშვილისა,[4] რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჟურნალში, გამოაცოცხლა იგი და თავის „სალაყბოს ფურცელში" (შინაური მიმოხილვის დაგვარ განყოფილებაში) მოურიდებლად ჰკიცხავდა საზოგადოებას, რომელიც გაკვირვებული ახლად მოვლენილ მართლმსაჯულის „კადნიერებით" პირველ ხანში გარინდებული ყურს უგდებს და უთმენს, ხოლო შემდეგში კი აუჯანყდა და სდევნის ამ მოუსვენარ მოლაყბეს.

„საყვარელნო წარმკითხველნო! გთხოვთ მიცნობდეთ, მე გახლავარ მოლაყბე, ასე დაიწყო თავისი „სალაყბოს ფურცელი" ჩვენმა ფელეტონისტმა,—რა ვქნა, დიდად დიდი სათაკილო სახელია, მაგრამ რა გაეწყობა. ის საზოგადოება, რომელსაც მე ვეკუთნი და რომელშიაცა ვიმყოფები, მოლაყბეს მეძახის... ეს ქვეყანა ასეთია, მართალი რომ არ გადის ჩვენს წყეულს საზოგადოებაში... ახლა ხან ეშმაკად და ქაჯად ერთი სიტყვა წამომცდა: მართლად თუ ტყვილად,—ეგ თქვენ იცით, როგორც გინდათ იფიქრეთ, მეკი მართლად მიმაჩნდა და იმ ერთის სიტყვისათვის, ცოტა გაწყდა წმინდის სტეფანესავით ქვით არ ჩამქოლეს! განა ტყვილია, რომ ქართველების უბედურებით მდგომარეობაში ყოფნის მიზეზნი ისევ თვითონ ქართველები არიან? არა, ღვთის გულისთვის მიპასუხეთ, ტყვილია? ამ თქმისათვის ჩასაქოლი ვარ? ამ ოქმისათვის და ამაზედ ხანგრძლივ და გრძნობით საუბარისთვის, მოლაყბე ვარ? მაგრამ ვის ვკითხავ![5]".

როგორც ხედავთ სრულიად ახალი წრის მანერა, ცოცხალი და მარტივი საუბარი გაჩნდა ჩვენს ჟურნალში. მოლაყბემ გაბედული ნაბიჯი გადასდგა, გასაგების ენით საზოგადოების პირ-ფარმზე დაიწყო ლაპარაკი. ეხლა ჩვენ ყოველივე ეს არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ იმ ხანაში ეს იყო ნამდვილი პუბლიცისტური შემოქმედება, რომელიც სწყვეტს კავშირს არა მარტო ენის გადაბირებულ ფორმებთან, არამედ თვით მოწიწების და რევერანსების ჩვეულებასთან. მოლაყბე საზოგადოებას არ ერიდება. იგი მხოლოდ მთავრობას ეპყრობა პატივისცემით. ამ მხრივ მოლაყბე ვორონცოვის ეპოქის ნამდვილი შვილია. მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ჩვენი ავტორი:

„.. მტერი ვერა ჰბედავს ჩუენს შევიწროვებასა, ვინაიდგან გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა, სწავლა ჰყვავის უსიტკბოესის ნაყოფით; გარნა თანდათან მიეცემის სისუსტესა, ჩუენის დაუდევნელობით ჩუენი ენა, რომლისთვისაც ცდილობს უმაღლესი ჩუენი მთავრობა, გვაძლევს ყოველსავე შემწეობასა და არარას ზოგავს ჩუენთვის, ჩუენის კეთილ-მდგომარეობისათვის. ამისთანას მყუდრო მდგომარეობაში, კაცს არ შეეძლოს თავისი სამშობლო ენის მოხმარება! უბედურება არ არის? მე უბედურება მგონია ესა და არა თუ უბედურება, უბედურებაზე უბედურება!! მაგრამ რა, ვის ველაპარაკები უბედურებაზედ, განა იმდენი მხურვალება გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურება"?..[6]

---

[1] „ცისკარი" N 1. 1857 წ.

[2] № 4.

[3] № 6.

[4] ქალბ. ანასტასია წერეთლის და გიორგი თუმანიშვილის მამა. ავტ.

[5] № 11. 1857 წ.

[6] N 12, 1857 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა და სხვა ამბავი

— ჟურნალისტებისთვის გეგეჭკორს უთქვამს, მეორე სათათბიროს დეპუტატთა საქმის თაობაზე შეკითხვის შეტანის აზრი თვითონ კაპუსტინმა აღგვძრა, მაკაროვის განმარტების თაობაზე გამართულ კამათის დროსაო. შეკითხვა, როგორც იცით, აურზაურით დასრულდა. მილიუკოვი, აჯემოვი და მასლენიკოვი კაპუსტინის მოქმედებას ჰკიცხავენ.

ამბობენ, სათათბიროში კანონპროექტი უნდა შეიტანონ, რითაც სხდომიდან გაძევებულ დეპუტატებს, გაძევების ხანს ჯამაგირს არ მისცემენ.

— ამ დღეებში პეტერბურგში „ხალხის თავისუფლების პარტიის" ფრაქციის კონფერენცია გამართულა. სხვათა შორის, მილიუკოვმა მოხსენება წაიკითხა მეოთხე სათათბიროს არჩევნებისათვის მზადებისა და სათათბიროში ფრაქციის მოქმედების თაობაზე. კონფერენციის გადაწყვეტილებას არ ამჟღავნებენ. გადასწყვიტეს ყოველი ღონე მიიღონ და მთავრობის მიერ არჩევნების მომზადებაში ჩადენილი უკანონობა გამოარკვიონ და სათათბიროს ხელოსანთა კანონპროექტი მიაღებინონ.

— პეტერბურგში ბალტიის ქარხნის მუშათა კრება მოხდა. კრებამ დაადგინა, სახელმწიფო სათათბიროში მეორე სათათბიროს წევრთა საქმის გარჩევის დროს სხდომის საიდუმლოდ გამოცხადების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადოს. მუშა და ხელოსნები ამ საქმის ხელმეორედ განხილვას მოითხოვენ.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

შანხაი. ამბობენ, უტინქანს რამდენიმეჯერ სთხოვეს მონაწილეობა მიიღე მოლაპარაკებაში, მაგრამ უარი განაცხადაო. იუანშიკაი ცდილობს ფლოტი ისევ მთავრობის მხარეს გადმოიყვანოს.

ხარბინი. აქაურ გაზეთის რედაქციის წევრებმა და ბევრმა ჩინელმა ინტელიგენტმა თმა მოიკრიჭა და ევროპიულ ტანისამოსით დადის.

პეკინი. თანშაოის კომისია წუხელის ხანკოუს მოვიდა. ხვალ ითათბირებენ თუ რესპუბლიკელები დაჟინებით და მტკიცედ დაიცავენ თავის მოთხოვნილებას, კომისიას ნება აქვს რესპუბლიკის შემოღებასაც კი დასთანხმდეს, თუ სამეფო გვარეულობის უვნებლობა უზრუნველყოფილი იქნება.

შანსი. მთავრობის ჯარს ტაიუანფუზე იერიში მიაქვს. რევოლიუციონერებმა უკან დაიხიეს. ტაინცანფუნიდან სანფუს ევროპიელთა წამოსაყვანად წასული ინგლისელთა რაზმი იძულებული გახდა შუა გზიდან დაბრუნებულიყო.

გაზეთებიდან.

რევოლიუციონურმა მოძრაობამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ რეგენტი, სული და გული რეაქციისა და დამცველი მანჯურთა დინასტიისა, იძულებული გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა. იმპერატორის მცირე-წლოვანობის გამო, საქმეებს რეგენტი განაგებდა. ამისთანა წარჩინებულ პირის დაითხოვნა იმის მომასწავებელია, რომ ჩინეთის მთავრობას გზა-კვალი აებნევია და აღარ იცის საქმეს როგორ უშველოს. როგორც ამბობენ, რეგენტი მცირე-წლოვან იმპერატორის დედის უანშიკაის რჩევით დაუთხოვნია. უანშიკაი შთამომავლობით ჩინელია, მაგრამ მანჯურთა დინასტიამ მას დიდი უფლებები მიანიჭა, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ იგი დინასტიას განსაცდელიდან დაიხსნიდა. უანშიკაის იმპერატორის დედისთვის წარუდგენია საბუთები, რომ რეგენტი ეგრედ წოდებულ „ბოქსიორთა" მოძრაობის გამოწვევას ცდილობდა. ეს განზრახვა რომ განხორციელებულიყო, დინასტიას სამუდამოდ დაეკარგებოდა ნდობა და მეფის გვარეულობის დამარცხება გაადვილდებოდა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რეგენტის დათხოვნას ძალიან გაუბრაზებია მეფის გვარეულობა და მრავალი რიცხოვანი პრინცები, რომელნიც ყველაფერს უანშიკაის აბრალებენ. მეორის მხრით, უაშიკაის მოქმედებით არც რევოლიუციონერები არიან კმაყოფილნი. იგი კვლავ დიდს სამზადისშია რევოლიუციონერებთან საბრძოლველად. ამ სამზადისს საფიქრებელში ჩაუგდია ცნობილი მოღვაწე ჩინეთისა ჩჟენცზიანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შუამავლობა რევოლიუციონერებსა და მთავრობის შორის. ჩჟენცზიანს განუცხადებია იუანშიკაისთვის, რადგანაც მთავრობა კვლავ განაგრძობს რევოლიუციონერებთან ბრძოლას და არავითარ ღონეს არ იღებს, რომ ახალი წეს-წყობილება განმტკიცდეს ჩინეთში, მე შუამავლობაზე უარს ვამბობო. იმ დროს, როდესაც მთავრობის წარმომადგენლებს ასეთი დიქსაქსულობა ემჩნევათ, გენერალი ლი, მეთაური რევოლიუციონერთა ჯარისა, პეკინზე გასალაშქრებლად ემზადება. ეს ის გენერალია, რომელმაც ნანკინი აიღო და ამით მთავრობის მომხრე ჯარებს საშინლად გაუძნელა საქმე. შეგროვილია დიდძალი ჯარი რევოლიუციონერებისა ქალაქ უჩანთან. გაზეთების გადმოცემით, ჯარი იმდენად დიდია, რომ მთავრობას იმედი აღარ უნდა ჰქონდეს გამარჯვებისა. მოძრაობა თანდათან თვით მანჯურიაშიც იწყება თუმცა ჩინეთში დღეს მანჯურთა დინასტია გამეფებულია, მაგრამ მანჯურები მაინც უკმაყოფილებას აცხადებენ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ერთნაირად სჩაგრავდა როგორც ჩინელებს, ისე მანჯურებს.

იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

25 ნოემბერი.

ტრიპოლი. კამპაურამდე ოაზისი მთლად გაანთავისუფლეს ოსმალთაგან.

დერნა. მზვერავებმა სამხრეთისკენ არაბნი და ოსმალნი შეამჩნიეს. იტალიელებმა ოსმალთა ბევრი თხრილები გააფუჭეს.

ტობრუკი. იტალიის ნაღმ მიუკარებელმა გემმა ოსმალთა ორი გემი დაატყვევა.

შენგაზი. მხედართა რაზმმა რამდენიმე არაბი გააქცია. ერთი ჯარისკაცი დასჭრეს.

ქაირო. ოსმალთა ორი ნაღმოსანი და სამი საბარგო გემი იტალიელთა კრეისერ „პიემონტეს" შეხვდა და იძულებული იყო სუეცისათვის შეეფარებინა თავი, სადაც ეგვიპტის მთავრობამ იარაღი აჰყარა.

მთავრობა ძალიან ცდილობს ნეიტრალიტეტის დაცვას. ტრიპოლის საზღვარზე მცველთა რაზმი გააძლიერეს და ახალი სადარაჯოები გამართეს.

ალექსანდრია. ტრიპოლიდან გამოქცეული ოსმალთა ოთხმოცი ოჯახი მოვიდა. ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. ეგვიპტის მთავრობა იმათ სტამბოლში ჰგზავნის.

ტრიპოლი. მზვერავთა რაზმი ზახელს ისე მივიდა, რომ ოსმალებს არ შეხვედრია. აინზარიდანაც გაიგზავნა მზვერავთა რაზმები.

გაზეთებიდან.

გაზ. „რეჩს" რომიდან შემდეგი კორესპონდენცია მოსვლია:

ტრიპოლის ოაზისიდან თურქთა და არაბთა განდევნის საქმე კარგად მიდის. დღევანდლამდე დაიპყრეს სიმაგრე მესრი და სიდი-მესრი, ე. ი. პოზიციები, იტალიელებისთვის უბედურ 13 ნოემბერს მოწინავედ რომ ითვლებოდნენ. მესრის აღებით ჰსურთ არაბთა იერიშები რიგგორმე თავიდან აიცილონ. წინად კი დღე-ღამ შეტაკება ჰქონდათ ხოლმე. ამ ნაბიჯის გადადგმას კანევა ვერა ჰბედავდა და ამბობდა, ვიდრე 45 ათასი კაცი არ მეყოლება ვერ დავიწყებ ბრძოლასაო.

რაც შეეხება პროვინციის შუაგულს შესვლას, იგი ვიდრე წვიმის ხანი არ გათავდება, ვერ მოხერხდება. ალბად თებერვალსა, ან მარტის დამდეგს დაიწყება მოძრაობა. საექსპედიციო. კორპუსის შტაბი ამ ბრძოლისა და შუაგულის დაპყრობისთვის 80—85 ათასს კაცს მოითხოვს, თუ 40 ათასი კიდევ ბენგარსა, ხომსსა, ტობრუკსა და სხვა ადგილებში იქნება გაბნეული.

ბოლოს დროს რომში ძალიან დიდი იმედი აქვთ და მოელიან კიდეც ზავის მალე ჩამოგდებას. ამბობენ იანვრამდე ომი მოთავდება და არც ჯარის გაგზავნა იქნება საჭირო. ამის მიუხედავად ნეაპოლიდან ჯარისკაცთა რაზმები ყოველდღე მიდიან ტრიპოლისაკენ. ორი დივიზია მზადაა აფრიკაში გადასასხმელად, თუ კი მალე ზავი არ ჩამოაგდეს. თუ მართლა ასე წავიდა საქმე, მაშინ შუა თებერვალს იტალიის ჯარის რიცხვი თითქმის 125 ათასამდე ავა, თუ დეკემბრამდე მოკლულ-დახოცილთა რიცხვს 6—7 ათას ვიანგარიშებთ. მაინც საჭირო იქნება 130 ათასი ჯარის კაცი პროვინციის დასაპყრობლად.

ჯარს უფრო ჩრდილოეთში [illegible]რიან თავს. დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ მგონი, ავსტრიის საზღვრებსა და სიმაგრეებს აძლიერებენ: იტალიას, ეტყობა, აგრესიის სურვილი არა აქვს, მაგრამ ჰსურს ლომბარდიაშიაც მზად იყოს. სასტრატეგიო ცენტრად პიაჩენცაა.

რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები.

სტამბოლი. სპარსეთის საზღვარზე მნიშვნელოვანი ინციდენტი მოხდა, რის გამოც პორტამ გადასწყვიტა სერიოზული ზომები მიიღოს.

თავრიზი. შუსტერის მიერ ადერბეიჯანს ხაზინადრად დანიშნული ინგლისელი ლეკოფრი, უკვე მოვიდა და ადერბეიჯანის ფინანსების საქმის გაცნობას შეუდგა. იგი ენჯუმენის სხდომაშიაც მონაწილეობას იღებს. ლეკოფრი ინგლისელთა ბანკის დირექტორის სახლში ჩამოხტა.

გაზეთებიდან.

მას შემდეგ რაც რუსეთმა მეორე ულტიმატუმი გაუგზავნა სპარსეთს და თან ჯარიც გაიყოლია, უცხოეთის გაზეთებში არა სწყდება ლაპარაკი სპარსეთის გაყოფის შესახებ. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი ამ ჟამად საფრანგეთში იმყოფება, და ამ გარემოებას დიდს მნიშვნელობას აძლევენ. მეორეს მხრით, დიდი მოლაპარაკებაა გამართული თურმე რუსეთსა და ინგლისს შორის სპარსეთის საქმეების გამო. თუმცა საზონოვს პარიზში განუცხადებია, რუსეთს აზრად არა აქვს სპარსეთის ტერიტორიის დაჭერაო, მაგრამ გაცხარებული დიპლომატიური მოლაპარაკება სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის ჰმოწმობს, რომ რაღაცა საქმისთვის ემზადებიან. საზონოვს განუცხადებია პარიზში, რუსეთს აზრად არა აქვს სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩაერიოს, მას ჰსურს მხოლოდ შუსტერის გადაყენება, რადგანაც იგი რუსეთის ინტერესების საზარალოდ იქცევაო.

თავის მხრით შუსტერიც თავს იმართლებს და სწერს: „რუსეთი ჩემს გადაყენებას სამსახურიდან იმიტომა თხოულობს, რომ მე ოფიციალურად არ მივიღე რუსეთის გავლენა ჩრდილოეთ სპარსეთში. რუსეთის ეს მოთხოვნა რომ მიმეღო, მოვატყუებდი იმ ხალხს, რომელსაც ვემსახურები. ამას გარდა, რუსეთის ბიუროკრატია ძალიან გაბრაზებულია მაჰომედ-ალის მოულოდნელ დამარცხებით. რუსის მოხელეთა აზრით, სპარსეთის რეაქციონერებს უფლება აქვთ სახელმწიფოს გადასახადები არ აძლიონ. როდესაც მე ამის წინააღმდეგ წავედი, რუსეთი გაბრაზდა. რუსეთის ელჩები ყოველთვის აშინებდნენ სპარსეთის მოხელეებს. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ვისმეს შეუძლიან პირ-უთვნელად აასრულოს კანონები. რუსეთმა ისარგებლა დღევანდელ პოლიტიკურ მომენტით, ოსმალეთ-იტალიის ომით, აშკარად არღვევს რუსეთ-ინგლისის შეთანხმებასა და სპარსეთის სუვერენიტეტს. თავიდანვე რუსეთს არ უნდოდა, სპარსეთში ფინანსების რეფორმები განხორციელებულ იყო. ეხლა რუსეთმა ნიღაბი მოიხსნა, ეს პროცესი დააჩქარა ევროპის დღევანდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ და იმან, რომ ინგლისი სპარსეთის საქმეებში არასოდეს გულ-წრფელად არ იქცეოდა. მე პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, თუმცა წინ მრავალი დაბრკოლება მეღობებოდა. ჩემი სამსახური სასარგებლოა სპარსეთის პარლამენტისთვის. მთავრობისთვის და ხალხისთვის. წინადადებას ვაძლევ ინგლისისა და რუსეთის მთავრობას დამისახელონ თუნდ ერთი ისეთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ მე უკანონოდ ვიქცეოდი. რუსეთი გულ-ახდილად თხოულობს, დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან თხუთმეტი ამერიკელი. მე შემეძლო ან მემსახურა სპარსეთის ხალხისთვის, ან თავი მომეკატუნებინა, რომ სპარსეთისთვის ვმუშაობ, ნამდვილად კი სხვების ინტერესები დამეცვა. მე პირველი გზა ვარჩიე, და ამისთვის თავის მართლებაც არ დამჭირდება".

მართლაც, საგულისხმო მდგომარეობაა. მთავრობა ხელს უწყობს ქართულ ჟურნალის არსებობას. საზოგადოება კი გულგრილად ეპყრობა ამ გარემოებას.

„ჩუჱნს ცისკარს, ამბობს მოლაყბე, უმეტეს ნაწილად კითხულობენ ბუზები, რა რომ თავისუფლად განისვენებენ ფანჯარებში, მოსამსახურეების ოთახში. იმისი ადგილი იქ არის, კაბინეტში შეტანა როგორ იქნება—ქართულს ენაზედ არის დაბეჭდილი. სხვათა ენაზედ რომ იყოს, აი ის სხვა არის. ჩუჱნ ენას ახლა აღარავინა ხმარობს, წამხდარი ენა არის, გასწორება რათ უნდა. სახლის პატრონმა, თავს რომ ჭერი ექცეოდეს, როდი უნდა გამოიცვალოს და გაიახლოს". 7)

მოლაყბეს ყოველივე ეს დიდ უბედურებად მიაჩნდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფართო საზოგადოებაში არც იყო შეგნება ამ უბედურებისა. განა იმდენი მხურვალება გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურებაო. ეს უკვე ღრმა ჩახედვაა ჩვენს გულში. ერს, თვით მოქმედებას მოკლებულს, დენაციონალიზაციის ბრჭყალებში ჩავარდნილს, „გულს მხურვალება" აკლდება და ამიტომ იგი თავის უკუღმართობასაც კი ვეღარ გრძნობს. რამდენად მოსწრებული სიტყვაა თვით დღევანდელ ქართველთა ფსიხიკის დამახასიათებელი!

მოლაყბეს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ შემდეგი საყურადღებო მოვლენა, რომელმაც სრულიად ბუნებრივად იჩინა თავი ქართველ მწიგნობართა წრეებში. რაკი ჟურნალი დაარსდა, სხვა და სხვა საგანზე წერა დაიწყეს, ზოგმა გასაგების ენით, ზოგმა ბუნდოვანად და თავისთავად აღიძრა საკითხი ქართულ მართლ-წერის შესახებ. ეს საგანი მით არის ყურადღების ღირსი, რომ დღემდე გადაუწყვეტელი დარჩა ჩვენს მწერლობაში. ხომ დღესაც არ ვიცით, როგორ ვწეროთ თბილისი თუ ტფილისი? ყური დაუგდოთ „ცისკრის" მწერლებს. ალ. სავანელი ამბობს:

„აქამომდინ ზოგნი ჰსწერენ; ტფილისი, ზოგნი თფილისი, რომელი ტყუის და რომელი მართალია? ნამდვილი წოდება ჩუჱნის ქალაქისა ვგონებ უნდა იყოს **თბილისი** და არა **ტფილისი**, თბილისის ქალაქი და არა ტფილისის ქალაქი. ვინაითგან წოდება ესე მიუღია მას, როგორათაც მოგვითხრობენ მწერალნი, **თბილის წყლიდამ** *) (და არა ტფილის წყლიდამ), აბანოებიდამ, რომელნიც მრავალნი არიან აქ..." მოჰყავს რა ავტორს კიდევ რამდენიმე ამ ხასიათის მოსაზრება, იგი დასძენს: „დასასრულ უმორჩილესად გთხოვთ დამირღვიოთ ეს ჩემი ჰაზრი, უკეთუ ვარ შემცდარი. მე არ მეწყინება მსგავსად რომელიმე მწერალთა, რომელთათვის კრიტიკა არის სასიკვდილო ნივთი. ამ შემთხვევაში სრულებით განვყოფ აზრსა ნ. კარამზინისა, რომელსაც უთქვამს: „Никто не предниметъ законовъ публикъ, она властна судить и книги и сочинителей" 8).

ეგეც გამარჯვება. კრიტიკისა აღარ ეშინიათ, აღარ ეწყინებათ, რომ აზრი დაურღვიოთ. და აგერ პასუხიც მზად არის. ვინმე ნოტა-ბენე სწერს:

„თქუჱნ ბძანებთ, რომ „აქამდინ არავინ არ მიიღო შრომა განმარტებისათვის ჩვენი ქალაქის სახელისა და მართლ-მწერლობისათვის მისისა". ამაზედ მოგახსენებთ: იმიტომ არავის არ მიუღია ეს ამაო შრომა, რომ დიდი ხანია გადუწყვეტიათ და დაუწესებიათ ჩუჱნზედ ჰკვიან კაცთა, რომ ჩუჱნი ქალაქი ნამდვილ ტფილისად უნდა იწერებოდეს... თბილი არის სიტყვა გარყვნილი საზოგადო სახალხო ხმარებაში. ესევე ლექსი საღმრთო წერილში, ესე იგი ძველის ქართულის ენით გამოითქმის: ტფილი. თუ არა გჯერათ, აიღეთ სახარება, იოვანეთ იოანესაგან თავი 18 მუხლი 18 და წაიკითხეთ: „ნაკუჱრცხალი აღეგზნა, რამე თუ ყინული იყო და **ტფებოდეს**, ჰსდგა მათ თანა პეტრეცა და **ტფებოდა**." მერმე საქმე მოციქულთაში ნახეთ თავი 28 მუხლი 3: „ვითარ შეჰკრებდა პავლე ქარქვეტსა და დაასხმიდა ცეცხლსა მას ზედა „იქედნე **სიტფოსაგან** მისგან გამოხდა". და სხვ... დასასრულ ბოლოშები: „იმედი გვაქვს, რომ ავტორი საკიცხავად არ მიიღებს ჩუჱნ მცირე პასუხსა, რომლითაც ვასრულებთ მისსავე საკუთარსა უმორჩილესს თხოვნასა, ხოლო ჩუჱნის მხრით ცისკარსა უმდაბლესად ვჰთხოვთ, პირველ შემთხვევაში ამ მცირედსა ზედა სარწმუნო იქმნას და შემდეგისათვის ვეცდებით, შეძლებისამებრო" 9)...

სალიტერატურო წრეებში თავაზიანობაა გამეფებული, ჯენტლმენური სიტყვა-პასუხი. ხოლო გულუბრყვილობის დაღი აკრავს ამ „ბოლოშებს". მაგრამ შიგ რომ ჩაუკვირდეთ, ჰნახავთ, რომ ამ „ბოლოშების" წყალობით ფეხს იდგამდა თავისუფალი მსჯელობა. კრიტიკის შეწყნარება საზოგადოებრივ აზროვნებას მოკლებულ წრეში ადვილი საქმე არ არის. „თავაზიანობის" და კეთილშობილ „მიხვრა-მოხვრის" სახით იგი ნელ-ნელა სადგურს იკეთებს სალიტერატურო ჟურნალში. მაგრამ ხანგრძლივი რა არის ამ ქვეყანად, რომ ამ გვარი ჩვეულება სამუდამოდ დამყარებულიყო ლიტერატურაში. მოლაყბემ თავის მკაცრი გაკიცხვით სხვა გვარ მსჯელობასაც აჩვევდა საზოგადოებას და მისი დამსახურება ამ მხრივ დაუფასებელია. თავაზიანობა კარგი რამაა მწერლობაში, მაგრამ იმ პირობით კი, რომ აზრი და მსჯელობა არ იყოს შებოჭილი. მოლაყბის პირდაპირობა პატრიარქალურ მოწიწებას არ ეგუებოდა და მისი თანაგრძნობა ხალხისადმი, თავად-აზნაურთა წრეების იქით მყოფ ხალხისადმი—თანდათან „საწყენ" ატმოსფერას ჰქმნიდა „ცისკრის" მკითხველთა შორის, რომელნიც უმთავრესად „კეთილშობილთა" წევრებისაგან შესდგებოდნენ. ყოველივე ეს თანდათან გამოაშკარავდება ჩვენთვის, ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენს მოლაყბეს. ძალიან შეაწუხეს ფიქრებმა საწყალი მწერალი. ერთ დღეს თავის მოკვლაც კი განიზრახა.

„რა მექნა?—ამბობს იგი. მტკვარზედ წავსულიყავი, შორს იყო მტკვარი, დამბაჩა მეშოვნა, ვინ მომცემდა, თოფი ვაა თუ გამსქდარიყო და ნახევარ მკვდარი შევქმნილიყავი, ამაზედ მეტიც აღარ გინდოდა! ისევ, მეტი გზა არ იყო, მტკვრისაკენ გავემგზავრე, სწორეთ იმ აზრით, რომ გადავარდნილიყავი, მოთმინებისაგან გამოსული! მოთმინებიდგან გამოსული როგორ არ ვიყო, რომ გულგრილად ყურებთ ქართველნი ჩვენს ნათქვამს, მაშასადამე ერთი ოდენ მტკვრისაგან მქონდა იმედი ამ საშინელის მდგომარეობიდგან განთავისუფლებისა. მაგრამ ოხ!., ოხ განგებავ! კურთხეულ არს სახელი შენი! თურმე მტკვრისაკენ კი არ წავსულვარ, გზაზედაც ფიქრს გავუტაცნივარ? ვინ შემხვდა გზაზედ არც კი მახსოვს; რომლის დუქნისკენ გავიარე, არც ის—ერთის სიტყვით სრულებით არა გამიგიაო. ამ სიარულში, ბოლოს... ოხ! რას ვხედავ!.. რა ჩემის გულის სასიამოვნოს საქმეს შევეფეთე! ვნახე უცებ, ზის ერთის დუქნის ძირზედ ხაბაზი, უბრალო ხაბაზი, უჭავს მუხლზედ ცისკარი მეთერთმეტე ნომერი, კითხულობს სალაყბოს ფურცელს მაღლის ხმით, თანახმა უხდება ყველაში მოლაყბეს და წინააღმდეგ სიტყვებით ლაპარაკობს ქართველებზე, თან იმას იძახის „ახ ნეტავ შემძლება მქონდეს, ვიყიდო ამისთანა წიგნებიო". ეს არაფერი შემოეხვივნენ გარშემო დუქნის მეზობელნი და უნდა ნახოთ რა სასოებით უგდებენ ყურსა: რიგი სჯის, რიგი თავის აზრს ამბობს, რიგი ყვირის და იმეორებს წაკითხულს! რამწამს ეს ვნახე, წაცდენით მომივიდა, თუ მეტის სიხარულით, ისე დავიყვირე, რომ გამვლელ გამომვლელნი შედგნენ „მადლობა შენთვის ღმერთო, თავი არ დამირჩევია მეთქი". მართლად რო მადლობა ღმერთსა! ახლა კი იმედი მაქვს, რომ თავის დროზედ ჩუჱნი ლიტერატურაც შეიქნება ღირსი ყურადღებისა!.. აღარ დავირჩობ თავსა, მინდა სიცოცხლე, დიდის ხნით სიცოცხლე, მხოლოდ იმისთვის, რომ ვნახო ქართველნი, იმ გონების მექონენი, რომლითაც ესმოდეთ ღირსება თავიანთი მამულისა, ესმოდეთ ყოველივე კეთილი განზრახვა ჩუჱნის დიდის ხელმწიფისა; გარდუხდიდეთ მადლობასა ყოველ კეთილზედ, რომლებითაც დავალებულნი ვართ ჩუჱნ ქართველნი, არასა დავზოგავდეთ კეთილზედ კეთილს საზოგადო მამულისთვის, არც დავიშურებდეთ არცა გონებასა, არც მუშაკობასა და თუ იქამდის მიდგა საქმე—ნივთსა თუ სისხლსა. სიკეთეს გარდახდა უნდა. თუ გვესმის რამე, გარდაუხდით, შესმენაც წარმოსდგება გონების გახსნისაგან, ხოლო გონების გახსნა ლიტერატურისაგანო". 10)

საგულისხმო, წმინდა ქართველურ შეხვევას ერთმანეთში ეროვნულის გრძნობის, დემოკრატულ მისწრაფებისა და პატრიარქალურ-მონარქიულ პრინციპების აღიარებისას აქ ჰპოვებთ. არა ერთხელ აღგვინიშნავს სხვა წერილებში, რომ სწორეთ ამ ელემენტებისაგან შესდგებოდა პოლიტიკური აზროვნება ქართველ თავად-აზნაურთა ინტელიგენციისა. დააკვირდით, რა ბუნებრივობის დაღი აკრავს მოლაყბის პოლიტიკურ ფილოსოფიას—ვორონცოვის ხანაში იგი თითქოს სინამდვილის გამოსახულება იყო. და რა ყალბი ელფერი მიეცა მას შემდეგში!.. მაგრამ დღეს ჩვენ გვაინტერესებს ისტორია და არა დაფასება, ამიტომ გავყვეთ ისევ ფაქტებს. საქმე ის არის, ამა თუ იმ სახით საზოგადოებრივ ჟურნალში გაიხსენეს ხალხი, გაიხსენეს სიყვარულით. და ეს ხალხი იმ დროს ბატონ-ყმობის უღელში იყო ჩაბმული. ხალხში წიგნების გავრცელება სასიამოვნო საქმე ყოფილა, მაგრამ ეს ხალხი რომ დამონებული და შებოჭილია? უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ხანაში რუსეთის მწერლობაში ცხარე ლაპარაკი იყო ამ საგანზე, რუს გლეხთა შორის მოძრაობაც გაჩნდა. გლეხთა განთავისუფლების საკითხი თავად-აზნაურულ კომიტეტში ირკვეოდა. მოძრაობის ზეგავლენით იმპერატორმა ალექსანდრე II უკვე წარმოსთქვა თავისი სიტყვა მოსკოვს თავად-აზნაურთა წინაშე. და ნუ თუ ყოველივე ეს საქართველომდე არ აღწევდა? და თუ აღწევდა, უნდა ვიცოდეთ, როგორ ისახებოდა ეს ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა ჩვენს პატარა „ცისკარში".

არჩილ ჯორჯაძე.

(შემდეგი იქნება).

---

7) ibid.

*) კურსივი ყველგან ავტორისაა.

8) N 2. 1858 წ.

9) N21858 წ.

10) N 3. 1858 წ.

სპარსეთის საქმეები.

გაზეთ „რეჩში" მოთავსებულია ლონდონიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია.

გუშინარ,—სწერს იგი,—სპარსეთის საქმეების კარგად მცოდნეს ვეახლე. იგი დამაარსებელია სპარსეთის შესასწავლად შემდგარ საზოგადოებისა. მოსაუბრე პარიზიდან ახლად ჩამოსული იყო და კარგად ჰქონდა შესწავლილი იქაურთა პოლიტიკური მიდრეკილება.

— ტყუილადა გგონიათ, ვითომც სპარსეთის საკითხი მარტოოდენ ინგლის-რუსეთის საქმე იყოს. სპარსეთის მთლიანობით დაინტერესებულია საფრანგეთიც. აბა, წაიკითხეთ „პტი ჟურნალის", „ლეკსიონის" და „სიეკლის" წერილებს? რასაკვირველია, საფრანგეთს მხოლოდ ინგლისთან ერთად შეუძლიან იმოქმედოს და მოლაპარაკებაშიაც პირველობა მას დაუთმოს.

— ინგლისი რაღას აპირებს?

— არ ვიცი, მგონია კი, ბ-ნმა გრეიმ საფრთხე იგრძნო და სპარსეთის დანაწილებას არავის დაანებებს. ჩვენ მაინც მოვთხოვეთ საზოგადოებათა პალატას, სპარსეთის საკითხი განიხილოს და ხუთშაბათს კი ლორდთა პალატაში იქნება მაგის თაობაზე ბაასი. ნუ დაივიწყებთ, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შეუძლიან ყოველთვის გამოიხსნას ოსმალეთი ამ გაჭირებულ ომისაგან და გაძლიერებული ოსმალეთი კი ძალიან დიდი საფრთხე იქნება რუსეთის წინსვლისთვის. განა არ იცით, ოსმალეთს ზურგს უკან ისეთი ვინმე უდგას, ვისი ერთი ძახილიც ყველას შეაკრთობს.

უნდა კი ვსთქვათ, ინგლისში მეგობრებს გარდა მტერნიცა ჰყავთ დემოკრატიკენიც. რასაკვირველია, სპარსეთის დაღუპვა არც ინგლისის ბრალია, არც რუსეთისა, არამედ თვით სპარსელებისა. იქ საუკუნოებმა ერთად მოაგროვა დესპოტიზმი, უვიცობა და ძალმომრეობა. სპარსელებს უფლებრივ წესრიგისა და ევროპულ განათლებისა ეშინიანთ და ერიდებიან. ეხლა კი, როცა გონს მოვიდნენ, კაცი არა ჰყავთ, წესრიგი დაამყაროს და ქვეყანას უშველოს. მთელი მოხელეობა დახავსებული და მოქრთამე აღმოჩნდა. პატიოსანი და მცოდნე პირნიც საზღვარ-გარეთიდან უნდა მიიწვიონ. —სპარსეთში ძალიან ცოტაა.

„მაგრამ,—იკითხა კირ-გარდიმ, —როცა გარეშე პოლიტიკის თაობაზე იყო პარლამენტში მსჯელობა, შესძლებს კი წესიერებისა და უფლების აღდგენას, ის, ვინც საკონსტიტუციო სისხლ-ნაკლებობით დაავადებულა?".

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ.

ლვოვი. ხოლმშინის გამოყოფის საწინააღმდეგოდ კრება გამართა. სტუდენტების მიცკევიჩის ძეგლისაკენ გასწიეს, იქ სიტყვები წარმოსთქვეს და პოლონელთა ეროვნულ სიმღერებს მღეროდნენ. როცა დემონსტრანტები რუსის სავანისაკენ გაემართნენ, პოლიცია გადაუდგა. შეტაკება მოხდა. ორივ მხრივ არიან დაჭრილ დახოცილნი. ღამის ახალგაზრდობის პატარა ჯგუფი რუსის სავანის ქვას ესროდა. სავანის ჭერი არ დაზიანებულა. საღამოს ყველაფერი დამშვიდდა.

ხოლმშინის გამოყოფის საწინააღმდეგო კრების შემდეგ „პრიკარპატსკაია რუსის" რედაქციის წინ დემონსტრაცია მოხდა. ფანჯრები ჩალეწეს.

ლიეჟი. კინემატოგრაფში, წარმოდგენის დროს აფეთქება მოხდა. 27 კაცი დაიღუპა. პოლიცია ამტკიცებს, ყუმბარა იყოთ.

ვაშინგტონი. სამხედრო ძალების სტატს-სეკრეტარი ანგარიშში ამბობს, დიდ სახელმწიფოსთან ბრძოლა ამერიკისათვის საზიანო იქნებოდა, ვინაიდან ჯარი განუწყობლიათ. სტატს-სეკრეტარი მოითხოვს, რაც შეიძლება ჩქარა მოაგროვეთ ჯარი და მოქალაქეთა ძლიერი დამხმარე შეჰქმნათო.

პარიზი. ჩრდილოეთის ვაგზალში ორთქლმავალი მატარებელს დაეჯახა. ხუთი დაიღუპა, რვა—დაშავდა.

სალონიკი. სადგურის უფროსი ბოლგარელმა მოჰკლა.

ცეტინიე. ტომანოვიჩის კაბინეტი სამსახურიდან გადადგა, რადგან სკუპშტინის თავმჯდომარედ ოპოზიციის კანდიდატი აირჩიეს.

რ უ ს ე თ ი.

კოსტრომა. დაარსებულ იქმნა ქალთა კომიტეტი მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოწირულებათა შესაკრებად.

სარატოვი. ოლქის სასამართლომ გაამართლა იერომონახი ილიოდორი, რომელსაც ბრალად ედებოდა ცარიცინის კრების მომრიგებელ მოსამართლეთა შეურაცხყოფა.

ხარბინი. ადგილობრივ ჩინური გაზეთის თანამშრომლებმა და ბევრმა ადგილობრივმა ინტელიგენტმა ჩინელებმა თმა შეიკრიჭეს.

სევასტოპოლი. საძმო სასაფლაოზე მიწას მიაბარეს სევასტოპოლის დამცველის პოლკოვნიკ დუდნიკოვის გვამი.

პეტერბურგი. სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საერთო კრებამ უკუ აგდო კოსტრომის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის შიდლოვსკის საჩივარი სისხლის საქმეთა დეპარტამენტის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც იგი დეპუტატთა საკრებულოს სხდომაზე მურომცევისა და 8 პირის, რომელთაც ხელი მოაწერეს ვიბორგის მოწოდებას, კოსტრომის თავად-აზნაურთა წრეში მიღების აღძრისათვის სამსახურიდან გადაყენებულ იქმნა.

პეტერბურგი. სამხედრო საზღვაო სასამართლოს განსაკუთრებითმა შემადგენლობამ ბოსტრემს დისციპლინარული წესით სამსახურიდან გადაყენა მიუსაჯა, კომანდირებს „პანტელეიმონისას" ტრეგუბოვს და ასტაფიევის კლიუჩნიკოვს — საყვედური, ხოლო შტურმანი ილიინი, ვირენი და აფანასიევი გაამართლა.

სასამართლო პალატის ბრალმდებელმა იუსტიციის მინისტრს წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს განსახილველად სახელმწიფო სათათბიროს წევრის გოლოვინის საჩივარი სათათბიროს დეპუტატ კუზნეცოვზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვის გამო.

ვაჭრობის მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში მოხსენება წარადგინა 163,200 მანეთის გადადების თაობაზე, ტეხნიკურ სწავლებურ სკოლების პროფესორთა მოსამზადებლად.

იუსტიციის მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში კანონ პროექტი წარადგინა მომქმედ კანონმდებლობის გადაწყვეტილებით ბოროტმოქმედებათა შესახებ გაუქმებისა.

ეკატერინოსლავი. აღმოჩენილნი ბოროტმოქმედნი პოლიციას გაუძალიანდნენ და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, სროლის დროს ერთი ბოროტმოქმედი მოჰკლეს, ორი კაცი და ორი ქალი დაიჭირეს.

მოსკოვი. ჭეშმარიტ რუსთა კავშირის კრებამ მთელი რიგი გადაწყვეტილებისა გამოიტანა: დახმარება სახელმწიფო ბანკის მიერ ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა, რომელნიც ჭეშმარიტ რუსთა მიერ იქმნება დაარსებული, შეზღუდვა სამხრეთ-დასავლეთის მხარეში „ინოროდცებისა" და შუამდგომლობის აღძვრა სათათბიროში დეპუტატების დანიშვნისა და დეპუტატების პასუხისმგებლობის შესახებ მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო.

რუსეთი

ვოსტორგოვის ბრალით.

ჭეშმარიტ რუსთა კავშირის კრებაზე, სხვათა შორის, წამოყენებულ იქმნა საკითხი მეოთხე სათათბიროში დეპუტატების არჩევნებისა; რამდენიმე დეპუტატმა სურვილი გამოსთქვა, რომ აუცილებლად საჭიროა მოსკოვიდან კავშირის წევრის ამორჩევაო, მაგრამ მოსკოვის წარმომადგენლებმა ესეთი სურვილი განუხორციელებლად სცნეს, რაშიაც, მათის აზრით, დამნაშავეა ყველასაგან ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი, რომლის მოქმედება მიმართული იყო არა მარტო ჭეშმარიტ რუსთა კავშირის, არამედ საერთოდ ყველა მემარჯვენეთა სახელის გატეხისადმიო.

აფეთქება პეტერბურგის ზარაფხანაში.

28 ნოემბერს დილის 8 საათზე მორიგე ინჟინერი პ. ს. ლატიშევი რამდენიმე მუშის თანხლებით შესულა ზარაფხანაში და ზარაფხანის ტალანში დარაჯს დიაკოვს ასანთი გაუკრავს, რასაც საშინელი აფეთქება მოჰყოლია; დაღუპულან დარაჯი დიაკოვი და მემანქანე, მძიმედ დაშავებულა 9 კაცი.

კადეტების კონფერენცია.

პეტერბურგში გამართულ კადეტების კონფერენციაზე,—რომელზედაც დაესწრნენ სახელმწიფო სათათბიროს კადეტთა ფრაქციის დეპუტატები, მთელი ცენტრალური კომიტეტი, პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტები და ზოგიერთ პროვინციალურ კომიტეტების დელეგატები,—სახელმწიფო სათათბიროს წევრს მილიუკოვს წაუკითხავს ვრცელი მოხსენება კადეტთა ფრაქციის სამოქმედო გეგმის თაობაზე, რომელიც მთელს კონფერენციას ერთხმად მიუღია. დიდის კამათის შემდეგ მიიღეს მილიუკოვის მეორე მოხსენებაც, რომელიც მეოთხე სათათბიროს არჩევნებს შეეხებოდა. მილიუკოვის აზრით, კადეტები უნდა ეცადნენ, რომ სახელმწიფო სათათბიროში რაც შეიძლება მეტი წევრი გაიყვანონ საზოგადოდ ზომიერ ოპოზიციისა. თუმცა ტაქტიკურის მოსაზრებით მილიუკოვი წინააღმდეგია ოქტომბრისტებთან ბლოკის შეკვრისა, მაგრამ იქ, სადაც თავს იჩენს შიში მემარჯვენისა თუ ნაციონალისტის ამორჩევისა, იგი კადეტებს მოუწოდებს ოქტომბრისტებთან ერთად მოქმედებას.

ეპისკოპოსი ევლოგი.

ეპისკოპოს ევლოგის უწმინდეს სინოდში მოხსენება წარუდგენია, რომელშიაც იგი სასწავლებელთა ბიბლიოთეკებიდგან ლევ ტოლსტოის თხზულებათა განდევნის აუცილებლობას ამტკიცებს.

თეატრი და ხელოვნება

ვასო აბაშიძის ბენეფისი. ხუთშაბათს, 1 დეკემბერს ქართულს თეატრში ჩვენი დამსახურებულის მსახიობის ვასო აბაშიძეს საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ოსტროვსკის ცნობილი პიესა „უდანაშაულოდ დასჯილნი" და ტრ. რამიშვილის ახალი კომედია ფარსი „კრიტიკოსთან". მთავარ როლებს შეასრულებენ ბ-ნი დავითაშვილი, ჩერქეზიშვილი, ამირეჯიბი, კარგარეტელი და ბ-ნი ვ. მესხიშვილი, თვითონ მობენეფისე, და გუნია, გედევანიშვილი, შათირიშვილი და სხვანი.

ვასო აბაშიძეს ბენეფისი ყოველთვის დიდ საზოგადოებას იზიდავდა და ეხლაც იმედია დიდ ინტერესს გამოიწვევს ჩვენს საზოგადოებაში.

სახაზინო თეატრი. ქალბატონ ეჟენე იოსების ასული თარხან-მოურავის პირველი გასტროლი დანიშნულია პარასკევს, 2 დეკემბერს, დასდგამენ ოპერას „ტრავიატა".

ახალციხე. 21 ნოემბერს, ქ-ნ ნინა ქობულაძის თაოსნობით, ადგილობრივ რაბათის ებრაელთა სკოლის სასარგებლოდ გაიმართა რუსული წარმოდგენა ბაზრობით. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო და ბაზრობამაც ჩინებულად ჩაიარა, თითქმის ყველა საქონელი გაიყიდა.

როგორც გავიგეთ, წარმოდგენიდან და სავაჭროდან 350 მანეთამდე წმინდა შემოსავალი დარჩენილა.

კარგი იქნებოდა, ამ საღამოს ქართულადაც დაედგათ რამე.

შხამიანი ახალი

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ: 1) სამგზავ. მატარებ. № 7, II—III კლ. საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვოში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატარ. N 5. I—III კლას. საღ, 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვოში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვოში 4 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატარ. N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ. 2) სამგზ. მატარ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) შერეულ. მატარ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარ. N 9/66, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. N 74/75, I—III კლას. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ. 2) სამგზ.-საქონლ. მატარ. N 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 31 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავ. N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. საფოსტ. N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) სამგზ. N 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. N 5, I—III კლ. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტო N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული N 107. IV—III კლ. ღამ. 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) სამგზ.-საქონლ. N 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო № 61/10, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებლებს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში)

რუსეთის საზოგადოებისა

ბათუმიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით—ღამით 1 საათს. ყველა ზღვისპირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით; ღამის 1 საათს. შეივლის სოხუმს, გაგრას, სოჭას, ტუაფსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლს და ევპატორიას, შაბათობით შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვას-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სატვირთო-სამგზავრო გემები — შეივლის ყველა ქალაქებში ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება.

ქალაქის საბჭოს ექიმები:

1—2 უბანი **გ. ა. გედევანიძე** (სდგას ვერაზე, ოლღ. ქ., 22. ტელეფ. 592).
3—4 უბ. **მ. ი. შავერდოვა** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 უბ. **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 უბ. **შ. ა. მაქულაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. 1, ტელ. 816).
8—9 უბ. **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლაევსკი, 7, ტელ. 715).
10, 11—12 უბ. **ა. ი. შერბანიანისა** დიდუბეში, საგურამოს, 5, ტელეფ. 715.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ჟ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუდრანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. მუსინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ქალ. ექიმ. მ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.
გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. მ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ნ. გ. აგახაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. მ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მოთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.**
(ფ. (1168—193)

სამშობიარო თავშესაფარი
მ. ი. კრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ღარიბულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და ბავშვის სარჩენისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უნერგ ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.
(26—913—20) ი. გ. [illegible]

გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა
მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა—მოსწავლე ქალვაჟებთან. —მიღებულია პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე. საბებიო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და ს. ტეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი [illegible] და სხვა და სხვა საგნებისა [illegible]ილებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ სარჩენადაც, **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს დანიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1
входъ съ подъѣзда нижній звонокъ
спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. N 38.
(недалеко отъ памяти. Воронцову).
(ო. 1084.31)

ა გ ე ნ ტ ი
მ. ა. ბაჟონია

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტად ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსისა" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

გამოვიდა და იყიდება
თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა:	წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო",	ფ. 75 კ.
„ „	წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა".	ფ. 80 კ.
„ „	წ. III. „ნააზრევი"	ფ. 65 კ.
„ „	წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1904 წ.	ფ. 85 კ.
Bâto u-sa:	„ერი და კაცობრიობა"	ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა:	„სამეგრელოს მთავარი ლევან", ისტ. დრამა	ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა:	„მეგობრობა", 4 მოქმ. დრამა	ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

~~ტფილისის ქალაქის საბჭო~~

~~ამით აცხადებს დუქნებისა, ფურნეებისა, ბუბლიკის საცხობისა, საკონდიტროებისა და სხვა ამგვარ წარმოების პატრონთა საყურადღებოდ, რომ მომავალ 1912 წლისათვის შესაფერი სავაჭრო მოწმობანი მიეცემათ მხოლოდ იმათ, რომელთა საწარმოვო ბინაც სასანიტარო მეთვალყურეთა აზრით, ტფილისის გუბერნატორის მიერ გამოცემულ და გაზ. „კავკაზში" დასტამბულ (14 ოქტომ., № 227) სავალდებულო დადგენილებას აკმაყოფილებს. ეს სავალდებულო დადგენილებანი შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის გამგეობაში.~~ (1—1612—1)

ხელის მოწერა 1912 წ.

ყოველ-კვირეულ-სურათებიან ჟურნალზე

XXVIII წლიწადი გამოცემისა.

ვოკრუგ სვეტა

XXVIII წლიწადი გამოცემისა.

(„ВОКРУГЪ СВѢТА").

1912 წლის ხელის მომწერნი მიიღებენ:

50 NN მოგზაურობისა და თავგადასავლის აღწერის ჟურნალ „ქვეყნის გარშემო".

12 წიგნს ინგლისელ ხუმრ-უპოვარ იუმორისტ **ჯერომ ჯერომის** თხზულებათა I-ლ გამოც. ახალი, სრული და მშვენიერად თარგმნილი, განგებ ამ გამოცემისათვის დამზადებული. ინგლისელი იუმორი—მთელს ქვეყანაზე საუკეთესო იუმორია.

6 საუცხოვოდ დასურათებულ კ რ ე ბ უ ლ ს სულ ახალ რომანებს, მოთხრობებსა და თავგადასავალთა, ხ მ ე ლ ე თ ს ა და ზ ღ ვ ა ზ ე ინგლისურ საუკეთესო გამოცემათა მიხედვით გამოცემული. გარკვეული ასო, ორ სვეტად. საკითხავად მეტად სახალისო.

6 წიგნი დასურათებულ „სამეცნიერო-პოპულიარულ ბიბლიოთეკისა" სამეცნიერო-სალიტერატურო — მოთხრობანი — **ვილჰელმ ბელშესი,** გერმანელ თანამედროვე პოპულიარიზატორის, რომელიც თავის ნაწერებში აზებს ზოოლოგიას, ბოტანიკას, გეოლოგიას, ასტრონომიას, ფიზიკას, ქიმიას, კულტურის ისტორიას და მეცნიერების სხვა დარგს. სხვათა შორის, მოთავსებული იქნება: „პირველ-ყოფილი ადამიანი", „ბუნების საიდუმლოებანი", «ქვეყნის აღსასრული», „ცხოვრების ზღაპრები", „დღენი შექმნისა", „მიწის წიაღში", „სამხრეთ პოლუსის საიდუმლოება", „მაიმუნთა ენა", „გმირის ზღაპარი", „ქვაქვეშ ცხოველი და ცოცხალი აზრი" და სხვანი.

და ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი ს დამატებით, ხელის მომწერნი მიიღებენ ძვირფას საჩუქარს:

12 გამოცემად სულ ახალ-ჯურის თვალ-საჩინოსა და საგულისხმო დასურათებული, ახალ-გვარ გამოცემისა: „ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ა ს წ ა უ ლ ნ ი". ქვეყნის ყველა სასწაულთა აღწერა, რაც კი რამ ბუნებისა და ადამიანის ხელს შეუქმნია, ქვეყნის ყველა კუთხეში.

ცნობილ მოგზაურთაგან არის შედგენილი.

4 მ. ჟურნალზე ხელის მოწერა 12 წიგ. ჯერომ კ. ჯერომის თხზულებით, 6 კრებული „ხმელეთსა და ზღვაზე", წიგნი „სამეცნიერ-პოპულ. ბიბლიოთეკისა". გაგზავნითა და სახლში მიტანით.

5 მ. წლიურად ხელის მოწერა ჟურნალზე ჯერომ ჯერომის თხ. 12 წიგნით, „ხმელეთსა და ზღვაზე", 6 წიგნი, «სამეცნიერო-პოპულიარული ბიბლიოთეკა» 6 წიგნი, „ქვეყნის სასწაულნი", გაგზავნითა და სახლში მიტანით.

შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა:
ხელის მოწერის დროს 2 მ., 2 აპრილამდე—2 მ., 1 ივნისამდე—1 მ.
მ ი ს ა მ ა რ თ ი კანტორ.: ჟურნალ. „ВОКРУГЪ СВѢТА", Москва, Тверская, д. N 48. Т—ва И. Д. Сытина.

1912 წლის ხელის მოწერა:

ყოველწლიურ სურათებიან საბავშო და ყრმათა ჟურნალზე **მ ი რ ო კ** მე-XI წ. გამოცემა. წ. ღირს 1 მ. 50 კ.

ჟურნალის 12 ნომრის გარდა, „მიროკ"-ის ყველა ხელის მომწერნი მიიღებენ 1912 წ. უფასოდ, მეტად საგულისხმო და სამხიარულო წიგნს: „ფისტაშკას თავგადასავალი"—პეტრუშკა-მარიონეტკის ცხოვრების აღწერა. თხზ. კოლლოდისა, ბევრი სურათების ჩართვით. ამის გარდა, 1912 წ. 1 თებერვლამდე ხელის მომწერნი, მიიღებენ კედლის კალენდარს 1912 წლისა, საყმაწვილო ლექსებით, გამოცანებით და საზუმაროთი.

„მიროკის" ხელის მოწერა მიიღება ჟურნალ „ვოკრუგ სვეტ"-ის კანტორაშივე.

გამოცემა ი. დ. სიტინის ამხანაგობისა.

(4—1612—1) რედაქტორი ვლ. ა. პოპოვი.

[illegible]
რედაქტორ-გამომცემელი ნ. [illegible]